ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01233252426**
თარიღი: **21/11/2023**

ადრესატი: შპს ტიფლისი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400232645
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა, კორპუსი 1, ბინა 64

თქვენი 02.11.2023წ. N 10/0123306546-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად შპს ,,ტიფლისი“-ს მიერ მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, დიდი დიღომი საცხოვრებელი რაიონი, (ნაკვეთი 003/001) ; ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი 03/006) (საკადასტრო კოდი:01.10.06.001.285) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.02.2023წ. N6336265 ბრძანებით განსაზღვრული I-IV ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინსპექციას საქმისწარმოება, საქართველოს კანონის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, არ დაუწყია.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

15 ნოე 2023

გადაწყვეტილება # 892023256854-03 (15.11.2023)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

განცხადების ნომერი: **892023256854** განცხადების მიღების თარიღი: **13.11.2023 11:32**

დაინტერესებული პირი: **ნუგზარ ნებიერიძე (01024005315)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი საცხოვრებელი რაიონი , (ნაკვეთი 003/001) ; ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , მიმდებარე ტერიტორია , (ნაკვეთი 03/006), სართული 4,ბინა N6, ფართობი 49.50 კვ.მ, 01.10.06.001.285**

მომსახურების სახე: **მშენებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (პროექტის კორექტირება)**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. „ა“ მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის წარმოსადგენია:

2.1. განაცხადის ნომერი, რომლითაც არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე შესაძლებლი იქნება სრული კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის (ერთმანეთთან შესაბამისობაში მყოფი პროექტის შეთანხმების ბრძანება, პროექტი და მის საფუძველზე გაცემული მშენებლობის ნებრთვა) მოძიება; პროექტის სართულის გეგმაზე დანიშნულების მიხედვით დაფიქსირებული ფართების დაჯამებით უნდა მიიღებოდეს ბრძანებაში დაფიქსირებული იგივე დანიშნულების ფართი, ხოლო ბრძანებაში სხვადასხვა დანიშნულების ფართების დაჯამებით-სარეგისტრაციო მშენებარე ნაგებობის საერთო ფართობი.
2.2. საჯარო რეესტრის ჩანაწერებთან, კორექტირებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მყოფი ფარების განაწილების დოკუმენტი, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართების ძველი და ახალი მდგომარეობის (საკადასტრო კოდების) მითითებით.

არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე №AR1988199 განაცხადით ატვირთული ბრძანება N6709933-ით შეთანხმებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, პროექტის, 892023256854 განაცხადით 13/11/2023-ში წარმოდგენილი ფართების განაწილების დოკუმენტისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერების შესაბამისობა დადგენილი იქნება მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია მშენებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (პროექტის კორექტირება)

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის

შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ ცვლილება უნდა განხორციელდეს ბრძანებით N6709933-ით შეთანხმებული კორექტირებული პროექტის საფუძველზე. არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე არ ხერხდება სრული საპროექტო დოკუმენტაციის (კორექტირებული პროექტის შეთანხმების ბრძანება, პროექტი და მის საფუძველზე გაცემული მშენებლობის ნებართვა) მოძიება. არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული გვერდზე (www.tas.ge) არსებული მონაცემებით №AR1996749 განაცხადით დაწყებული და შეჩერებულია საქმის წარმოება ბრძანება N6709933-ით შეთანხმებული კორექტირებული პროექტის შესაბამისად მშენებლობის წარმოებაზე, ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.

3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, მშენებარე შენობა-ნაგებობაზე ან მის ერთეულზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, სააგენტოში წარდგენილ უნდა იქნეს კანონმდებლობით განსაზღვრული სამშენებლო დოკუმენტაცია, ხოლო მშენებლობის დასრულებისას – შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, №22; ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია სსიპ იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1), მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.